

# სნობის ფურსელი

## სურათებიანი დამატება

44

დამატების № 43.

კვირა, 2 ივნისი 1902 წ.

გაზეთის № 1826.

### სოფლის სურათები

ოკტებ მარბოსა

(ფრანგული)

II.—შოსდგარი

ბრეტონის მხარის ლორიანსა და კონკაროს შუა სოფელი ლოფერნაკია. ამ სოფელსა და ზღვის შორის ქვიშაბარი იყო, სადაც საცოდავი თავკომბალი და ყაყაჩო თუღა ხარობდა. წითელი, მაღალი ოთხკუთხი კლდე სამხრეთ-დასავლეთის ქარისაგან იფარავდა პატარა ნავთსაყუდელს, სადაც ნავეზის მისაყენებლად ხის ხიდი და სანაპირო გაეკეთებინათ. ღიდის ღელვის დროს ამ ნავთსაყუდელში თავს იფარავდნენ პატარა სათევზაო ნავეზები და ზღვის პირს მახლობლად მოსიარულე სანდლები.

ციწრო ღ დაქანებულ ქუჩებთან სოფლის უკან მიღამოს საზღოვიარო ფერი ადგეს. შთელი სოფელი თითქო ერთ ღრმა გეჯაში მოქცეულია. გარშემო არტია შირი ბორცვები და ქაობები, სადაც წყალი გვალვიან ზაფხულშიაც კი არა შრება და შავად, ზეიის მგავსად შიგაა დაგუბებულ-აშორებელი. ამ ქაობების შხამიანი და ყოველგვარ სენის გამწვინ ბული ასდის. აქაურების აკროლებული ქობები თვეზის გახრწნილ შიგნეთლის და დამარილებულ თევზის სუნითაა გაეწითლი. საცოდანი და დამარილებული არიან მცხოვრებნიც. კაცები—ჩაყვითლებული ღ და



ტრუვისის მისწავლეთა რუსეთში მოქსურთა წარსულ ამბოში. რენის კხას სადგურზე.

შამული; ქალები—ლანდების მგავსნი, თ.ფლის სანთელსავით ჩამომდარნი. ირც უნდა შევხედვით, ყველა წელში ოთხადა მოხრილი, მოსიარულე ცხედრის მგავსი. ყველას თვალები ციებ-ციებლისაგან უფლავარებს. სანამ ქვარი თავის ღარიბულად გაწყობილ ნავთ სარდნის დასაქვრად დაწრწიარებს, ცოლი გულს არ იტებს და ქობიან მინდორისა და ხრიაკ ბორცვებზე პურის სთესავს ხოლმე. ხზორ ეკლებს შორის, ქეციან კაცის თავის მომავარეწელ ნიადაგზე, აქა-იქ თუღა ამოჰყოფს თავს ჯეგელი. თითქო რაღაც უსაშველო უიღბლობა აწვეს თავზე ამ შვიდგზის დაუყველილ კუთხის და შეუბრალებლად სულს უხუთავსო. ძნელსა და მუღღრო ღამეში ასე იტყვი, თვით სკვდელი დასტარალებს ხოლმე თავზე აქაურობასაო. განსაკუთრებით შემოდგომაზე ავლებს მუსრის ციება აქაურებს, ამ დროს მცხოვრებნი უარესად იკაცებიან წელში, უფროავდე-

ბიან, ხმებიან და იხოცებიან, თითქო დახამლებული მცენარენი არიან და ქარმა ერთის შეტებით მიწაზე დაჰფინაო.

ამ სასალოლოს მგავს ადგილას, ამ მოშამულ ჰაერში ორად-ორი კაცი ჰმოგინობდა ტან-მრთელი და უსწეულო: მღვდელი და ქალაქის თავი.

მღვდელი, ანუ, როგორც ბრეტანში ეხბიან მღვდელს, რექტორი, ხმელ-ხმელი და მეტად ცოცხალი კაცი იყო, თავის ხარისხსა და სარწმუნოებას ერთგულად ემსახურებოდა. კი არა ჰკვავდა ამ მხარის სხვა მღვდლებს, რომელნიც, როცა უნდა მივიდეს კაცი მათს სანახავად, ან ბოთლებში ღვინოს ასხამენ ან და გოგონების არშეყოფაში არიან. უბრალო იყო, თავდაქვრილი, ნაშდილ განდევლისავითა სცხოვრებდა. თქვენ იმისი აღმინსტრატული შრო და უნარი უნდა ბრძანათ! თავისი მგვა-

ბარი, ქალაქის თავი მხარში უღდა და იმის დახმარებით კერნაკის გასაწყლებულ მრველს ათას გვარ გადასახადს აწერდა, სხვა-და-სხვა სახით მოწყალეებას ჰკრეფდა. და იმდენი იმარჯა, რომ, დეპარტამენტისა და სახელმწიფოს დაუმხარებლად, მშენიერი ეკლესია ააგო თეთრის ქვისა, მოსტეკრამბებულ კარებიანი. იმას გვერდელ მოუღდა მაღალი სამრეკლო უშველბელ დაოქვრულ ჯვრით თავდამშვენებული. ოღონდაც რომ საკვირველი იყო. ასეთი მდიდარი ეკლესია, ამ ენით გა-მოუთქმელ სიღარიბე-სისაწყლის შორის ამართული! მგარამ კერნაკელი მომდგარი ამას არა სჯერდებოდა. ყოველ კვირას, ქადაგების დროს, თავის მრველს იმას-ღა ჩასწირინებდა, მეტი შეწირულება გაიღეთო. ხან მუქარასაც მიმართავდა ხოლმე, ყველას ეწინიდა მისის შურის ძიებისა და სიძლიერისა, და იმასაც მოსდიოდა და მოსდიოდა ახალახალი შეწირულება ზღვი-



ბახმარა, საკარავო სახე. გურიაში.—სურ. გოგაშვილისა, ავტორთან — ნახაის ფურცლისა.

სავით. ერთ კვირას საქადაგებლად ავიდა, მოჰკიდა ღვთის შრომლის დროშას ხელი და დაქნია.

— ხალხნო, ამა ერთი ამ დროშას შეხედეთ!—წამოიძახა გაალმასებულის ხმით,—სირცხვილი და თავლავ დასხმა არ არის? ერთი კარვად შეხედეთ, და!.. ვინა დროშაა ესა? აბრეშუმი შემოღობია, სირმა ვაცსეეთია, ოჭროს ფრჩხილი გავხუნებია... თვითონ ჯობიცი საცა ვატყუებ... ნაქარგის კვადლიც აღარსად ეტყობა... ღვთის შრომლის სახისს ხომ ნურასა შეითხავთ!.. მთლად გადასაგდებია რაღა! შენ რომ მოგცეს კაცმა, შენ კი, ლეტორა, შენს ჰასაც არ გასწმენდ მაგითი და შენ, ვოზეფ ბრიაკ, შენის ქვაბების გახეხვასა; კი იუკადრისებელი მაგითი... მაგრამ რა უნდა მოგვიბოძოს კაცმა!... თქვენთვის ხომ სულ ერთია ყველაფერი, ოღონდ თვითონ განტრობითა და ფუფუნებით იცხოვროთ და დრო გაატაროთ, თქვე წაწყენილინო, თქვენა!... სრულებით არ გადაიტყუებთ ისა, რომ ღვთის შრომელი ჩვენის ტაძრის დღეობებზე თქვენსავე შორის ძონძებით მოსლი დაღის ხოლომე... არა, ამას ბოლო უნდა მოეღოს... ღვთის შრომელს ყოფა, რაც ტანჯვა თქვენის გულგრილობისა და შეუწოდებელ დიდების წყალობით გამოიარა... დედა მღვთისას ახალი დროშა უნდა, გესმისთ... აფილის მომჭრელი დროშა, იმაზე უკეთესი არ უნდა იყოს, სულ უკანასკნელი ორასი ფრანკი უნდა ღირდეს... ყური და მივდეთ და ჩემი ნათქვამი კარვად დაიხსომეთ, თუ არ გინდათ, რომ საშინელი უხედურება დაგატყუდებთ თქვენ, თქვენს ყანებს, თქვენს ნავეებს... თუ არ გინდათ, რომ ხელოკებად, ჯოჯოკებად, ზღვის ძაღლებად გადაიტყუდ... ყური დამივდეთ: შენ, ივ გეგანეც, შენ ხუთი ფრანკი უნდა მომიცე... რაო, რა სიძვი? არაფერი? ძალიან კარგი. შენ წაღებს ცოტა ნაკლებ ფასისა იყიდი, შენ ღობო, შენა, და ფულს მოგარება! შენ, როზა კერლანიც, შენც ხუთი ფრანკი უნდა მომიცე... მაგრამ თუ კიდევ მოგასწავრით შენ და სილახანა კერლორის გრათად ნავთსადღურის უკან, მაშინ ხუთის კი არა, ათს ფრანკს ამოვიღებ შენის კისრიდან... შენ, მილანიც ქუთონი, ხო უნდა მომიყვანო, გუშინ საათისა შენმა ძროხამ რომ მოიგო... რა ვანზე მიყურებ?... თუ უარზე დადეთ, შენ გემორო ქურდი, იცი რას ვიხამ? არ გეგინოს ხბოს დაჯავჯრო,—მისი დედაც აქ უნდა მოგაყვანილი... ეჟულ, ჰიერ, ვოზეფ დე-კლერ, თქვენ ერთ თევზობას რასაც დაიქვით,

სულ უნდა მომიტანოთ, მაგრამ გესმისთ, დამპალოსა და გადასაყრელ რისამე მოტანა არ გაბედეთ, სულ ნარჩევი კამბილია უნდა იყოს... ხომ გაიგეთ, რაც ვითხარით...

მთელის მეოთხედის საათის განმავლობაში ამ წიარად შოაპარაკობდა მოძღვარი იმის შესახებ, თუ ვის რა უნდა მოეტანა. ზოგს ავალდებდა მოეტანა ფული, ზოგსაც ქირანახული: ერბო, მიწის ვაშლი, ხორბალი. თანაც უბრძანებდა კიდევ და ამ ბრძანებისთან ერთად ღანძლის სიტყვებით ამკობდა ეკლესიაში სალოკავად მოსულ ხალხს.

ეკლესიის შუა ალაზე ერთი მოხუცი საბავო მოხელე იღვა, სვეტს მიყრდომილი. იფიქრა, ეს არის ღმერთმა მიბრალა და დაუბავივი გადავიჩი მღვდელსო, თან თავის მსხვილ ფულსაშენსა და გრძელ გათეთრებულ წვერში ჩუხმად ჩაიკინა. მისი სიცილი მღვდელს ვეღარ გამოეგარა. მაშინათვე მისკენ ხელემა გაიშვირა დროშასთან ერთად, რომელსაც შრიალ-ტაკუნე ეუღებოდა, თითქო ნავის იაღქანია და ქარი არხეცსა.

— შენ, ე, ლიდწვერე,—დაუქმბა მღვდელმა რისხვიანის ხმით,—რომ იცინი, რას იცინი ვითომ? რაი შენსას არ იშლი, შე უსირცხვილო ოტროველა, და ღვთის სახლში ასე უტყუროდ იღირებები, ოკი ფრანკი გამოიჭერა შენთვის.

მოხელე უარზე დადგა.


— რა საქარია, ოკი ფრანკი უნდა ამოყავო, შე სატანის წვერო! ჩემი ნათქვამი ყურში კარვად მეუშვი. თუ ეს ფულები ამ საღამოს ლოკვის შემდეგ არ მოგიტანია, შენს კაიკოკობას ყველაფერს გამოეაშუვებ... ვიცი, რაც ბიჭი ხარ, შეილოსა!.. რესპუბლიკის პოკურორთან დაუბეზღებელი ვერ გადაშორებები... ზღვისაგან გამოყოფილ საქონლის მოპარვისათვის... ამ ერთის კვირის წინეთ რომ მიითვისე... ზოგი მაშინ ვნახობ, თუ კიდევ სიცილის გენგნებზე იქნები, შე კოფეკო შენა... იქნება ვეგონა, რომ შენი ირინები არ ეცილდი, შე ჯოჯოხობის მაშხლავი!..

ეს რომ სიცილე, მღვდელმა პირჯვარი გაიღწერა და სასოებით წარმოსთქვა:

**სახელათა მამასათა, და მისათა და სულას წმადისათა.**

მერე საქადაგებელ ადგილიდან ჩამოვიდა, ავიდა ტრაპეზთან და დაღონებულ მოკიცვლეთა თავებს ზემოდან დროშას რბევა დაუწყა.

ოი, ასეთი იყო კერნაის მოძღვარი...  
ო. ს.



სენ-პეტროპოლის ნავთ-სადგური კატასტროფის დროს.



დაშვარა ქვის გვაში.



ვიტორ ჰაუსის ქუჩა, კატასტროფის შემდეგ.

